ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1585647

ნომერი: AR1262764

თარიღი : 03.11.2014

გაცემის თარიღი : 10.11.2014

გაცნობის თარიღი : 27.11.2014

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი თელეთი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სერგო ხერგიანი პ/ნ 01010006030
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ II მ/რ II კვ. კორ. 4 ბ. 27

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1262764 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #81.03.12.513) არსებულ შეზღუდვებთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ, შემდეგს:

არქიტექტურის სამსახურმა 17/10/2014 წლის AR1258675 განცხადების საფუძველზე ერთხელ უკვე იმსჯელა აღნიშნული საკითხის თაობაზე რასთან დაკავშირებითაც განმეორებით განგიმარტავთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს ინიციატივით, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის N1748 განკარგულებით შევიდა დამატება „საქართველოს საავტომობილო გზების რიგ მონაკვეთებზე რეკონსტრუქცია – მოდერნიზაციის (მშენებლობის) სამუშაოების განხორციელების მიზნით ზოგიერთ გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 18 თებერვლის N104 განკარგულებაში, რომლის თანახმადაც „ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციით გათვალისწინებულ მონაკვეთებზე საპროექტო სამუშაოების დასრულება-შეთანხმების შემდეგ (სამშენებლო სამუშაოების დასრულებამდე) შესაძლებელია შეზღუდვის ზოლის (საპროექტო გზის ღერძიდან 100 მეტრი) შემცირება საპროექტო გადაწყვეტილების შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი ორგანოების შეთანხმების გზით“.
აღნიშნული ინიციატივის მიზანი არის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციით გათვალისწინებულ ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ მონაკვეთებთან მიმართებაში უფრო მოქნილი სამშენებლო რეგულაციების შემოღება და იმ იურიდიული თუ ფიზიკური პირების მდგომარეობის მაქსიმალური შემსუბუქება, რომელთა მფლობელობაშიც არსებული მიწის ნაკვეთების სამშენებლო განვითარება ხსენებული საავტომობილო გზების გასწვრივ ინფრასტრუქტურის განვითარება–ჩამოყალიბებას უკავშირდება და ყვება 100 მეტრიან შეზღუდვის ზოლში.
ამ ეტაპზე, სამსახურის ხელთარსებული ინფორმაციით, ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციით გათვალისწინებულ მონაკვეთებზე მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები და მათი დასრულების შემდეგ შესაძლებელი იქნება შეზღუდვის 100 მეტრიანი ზოლის შემცირება საპროექტო გადაწყვეტილების შესაბამისად (იხ.დანართი).

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge